

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №05
2020 წლის 15 აპრილი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №14 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №14 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 04/12/2019, 190020020.35.144.016367) და დადგენილების დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე არდემანაშვილი

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი.	2020 წლის გეგმა
შემოსავლები	15,446.1	20 678.9	22576.6
გადასახადები	1,543.4	10 627.5	11 741.9
გრანტები	13,099.9	9 225.1	9534.8
სხვა შემოსავლები	802.8	826.2	1 299.9
ხარჯები	6,981.2	8 174.7	8916.9
შრომის ანაზღაურება	1,818.5	1 876.0	2027.4
საკონელი და მომსახურება	449.3	711.9	845.9
პროცენტი	46.7	24.7	25.1
სუბსიდიები	3,743.2	4 424.0	4711.3



სოციალური უზრუნველყოფა	710.5	758.2	859.8
სხვა ხარჯები	213.0	379.9	447.40
საოპერაციო სალდო	8,464.9	12 504.2	13659.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,359.4	11 514.5	15957.1
ზრდა	7,428.6	11 821.2	15957.1
კლება	69.3	306.7	0.00
მთლიანი სალდო	1,105.6	989.7	-2 297.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,105.6	936.2	-2 335.3
ზრდა	1,105.6	1 067.8	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,105.6	1 067.8	0.0
კლება	0.0	131.6	2 335.3
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	131.6	2 335.3
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-53.6	-37.90
კლება	0.0	53.6	37.90
საშინაო	0.0	24.7	37.90
ბალანსი	0.0	0.0	0.00

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წ ფაქტი	2019 წელი ფაქტი	2020 წელი გეგმა
შემოსულობები	15515.4	20 985.61	22576.7
შემოსავლები	15446.1	20 678.89	22576.6
არაფინანსური აქტივების კლება	69.3	306.72	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	14409.8	20 049.4	24911.9
ხარჯები	6981.2	8 174.7	8916.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	7428.6	11 821.2	15957.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	53.6	37.9
ნაშთის ცვლილება	1105.6	936.2	-2 335.3



მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 22 576.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წ ფაქტი	2019 წელი ფაქტი	2020 წელი გეგმა
შემოსავლები	15446.1	20 678.9	22 576.7
გადასახადები	1543.4	10 627.5	11741.9
გრანტები	13099.9	9 225.12	9 534.9
სხვა შემოსავლები	802.8	826.23	1 299.9

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 11741,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წ ფაქტი	2019 წელი ფაქტი	2020 წელი გეგმა
გადასახადები	1543,35	10 627.5	11 741.9
საშემოსავლო გადასახადი	383.1	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0	9 456.43	10641.9
ქონების გადასახადი	1160.25	1 171.11	1 100.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	612.61	710.84	600.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა ნიწისა)	58.64	-53.12	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5.95	7.42	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.27	0.0	0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	5.69	7.42	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	252.0	255.51	300
ფიზიკურ პირებიდან	220.19	214.78	270.0
იურიდიულ პირებიდან	31.81	40.73	30.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	231.05	250.46	200.0
ფიზიკურ პირებიდან	33.0	33.82	20.0
იურიდიულ პირებიდან	198.04	216.65	180.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9534,9 ათასი ლარის ოდენობით



დასახელება	2018 წ ფაქტი	2019 წელი ფაქტი	2020 წელი გეგმა
გრანტები	13099.9	9 225.1	9 534.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13099.9	9 225.1	9 534.9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7058.6	1 255.8	1 153.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	6845.6	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	213.0	213.0	215.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	1 042.8	938.7
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6041.3	7 969.3	8 381.2
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა.	5726.45	6498.9	7 441.2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	940.0	940.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	314.9	530.42	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 299.9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	802,85	826.23	1 299.9
შემოსავლები საკუთრებიდან	328.65	242.44	289.9
პროცენტები	114.09	93.33	70
რენტა	214.56	149.11	219.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	162.49	93.34	150.0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	52.07	55.78	69.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	194.36	223.25	230.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	178.92	206.87	215.0
სანებართვო მოსაკრებელი	25.34	30.04	25.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	153.58	176.83	190.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	15.44	16.38	15.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	15.44	16.38	15.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	196.28	235.66	700.0



შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	83.56	124.88	80.0
--	-------	--------	------

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8916.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ხარჯები	6981,2	8 174.7	8916.9
შრომის ანაზღაურება	1818.5	1 876.0	2 027.4
საქონელი და მომსახურება	449.3	711.9	845.87
პროცენტი	46.7	24.7	25.1
სუბსიდიები	3743.2	4 424	4711.3
სოციალური უზრუნველყოფა	710.5	758.2	859.8
სხვა ხარჯები	212.9	379.9	447.4

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 15957.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15957.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	38,9	18.5	34.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6800,7	9 998.8	12467.4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	151,7	215.3	234.9
04 00	განათლება	172.18	1 364.9	1 413.7
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	259.13	223.6	1 806.2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5.9	0.0	0.0
სულ ჯამი		7428.6	11 821.2	15957.1

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წ ფაქტი	2019 წ ფაქტი	2020 წ გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	69.3	306.7	0.0



ძირითადი აქტივები	60.9	236.7	0.0
არაწარმოებული აქტივები	8.4	0.0	0.0
მიწა	8.4	70.0	0.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2314.4	2393.9	2 705.5
7011	ადმსარულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2267.7	2344.5	2 632.5
70111	ადმსარულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2267.7	2344.5	2 572.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	46.7	0.0	60.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	49.4	63.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	10.0
702	თავდაცვა	111.0	118.8	118.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	6718.6	8533.6	11637.5
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	98.7	519.1	288.2
70421	სოფლის მეურნეობა	98.7	519.1	288.2
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	94.9	324.7	945.6
70443	მშენებლობა	94.9	324.7	945.6
7045	ტრანსპორტი	6525.1	7689.8	9203.2
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6525.1	7689.8	9203.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0.0	0.0	1200.5
705	გარემოს დაცვა	1013.0	1170.4	1250.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	958.0	1064.4	1144.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	55.0	106.0	106.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	418.3	1015.0	1 462.0
7063	წყალმომარაგება	36.2	110.6	314
7064	გარე განათება	335.6	578.5	622.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	46.5	325.9	525.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	89.9	89.7	124.5



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	89.9	89.7	124.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1244.0	1540.1	2159.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	624.8	717.1	2277.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	503.0	622.1	706.5
7083	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	13.2	17.1	17.1
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	103.0	183.9	158.8
709	განათლება	1713.0	3411.1	3448.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1693.2	2451.2	2305.6
7092	ზოგადი განათლება	0.0	936.5	1 119.5
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	936.5	1 119.5
7096	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	19,8	23,4	23,4
710	სოციალური დაცვა	787.6	846.6	1006.1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	646.7	556.7	536.9
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	628.7	542.2	503.9
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	18.0	14.5	33.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	60.0	60.3	62.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	22.0	29.0	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	110.6	120.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	56.9	90.0	257.2
	სულ	14409.8	19119.2	24911.9

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
საოპერაციო სალდო	8464.9	12 504.2	13659.7
მთლიანი სალდო	1105.6	989.7	-2 297.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	1105.6	936.2	-2 335.3
ზრდა	1105.6	1 067.8	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	1105.6	1 067.8	0.0



კლება	0.0	131.6	2 335.3
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	131.6	2 335.3

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-53.6	-37.9
კლება	0.0	53.6	37.9
საშინაო	0.0	24.7	37.9

მუხლი 13. სასახო ვალდებულებები

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქარელის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები შეადგენდა 346 336 ლარს, ხოლო 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იქნება 309 884 ათასი ლარი.

თავი II

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის პროგრამები და 2020-2023 წლების პრიორიტეტები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა

	დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	606.3	624.0	655.7
	ხარჯები	601.8	624.0	651.7
	შრომის ანაზღაურება	440.2	467.3	475.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.5	0.0	4.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1,661.4	1 720.5	1 916.8
	ხარჯები	1,634.8	1 709.9	1 889.2
	შრომის ანაზღაურება	1,301.3	1 333.6	1,468.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	26.6	10.5	27.6
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	111.0	109.0	118.0
	ხარჯები	103.1	101.0	114.7
	შრომის ანაზღაურება	77.1	75.1	83.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.9	8.0	3.3



01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები

01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	60.0
	ხარჯები	0.0	0.0	60.0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	10.0.0	10.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	46.7	49.4	63.0
	ხარჯები	46.7	24.7	25.1
	ვალდებულებების კლება	0.0	24.7	37.9

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 03
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური
დაფინანსება	63 000
პროგრამის მიზანი და აღწერა	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით შევიძინეთ სპეც მანქანა. აღნიშნული სესხის მთლიანი მოცულობა შეადგენს 346 336 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 171 255 ლარს. 2020 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის 63000 ლარის დაფარვა.
მოსალოდნელი შედეგი	სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 03
პროგრამის დასახელება:	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური
დაფინანსება	163 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული უფრო მეტად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება. პროგრამით ისარგებლებენ: თვითიზოლაციაში მყოფი მოსახლეობა, მოსახლეობის ის ნაწილი რომელმაც დაკარგა შეზღუდვებიდან გამომდინარე შემოსავლის წყარო, უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობა და სხვა. ასევე განხორციელდება მოსახლეობის



დასახმერებლად სხვადასხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული დაზარალებული მოსახლეობის ყოფის შემსუბუქება.

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

	დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა ათ. ლარი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7,136.9	10 488.6	13087.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,525.1	7 689.8	9203.2
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია	6,485.1	7 589.8	9103.2
02 01 02	შიდა გზების მოვლა პატრონობა	40.0	100.0	100.0
02 02	წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	134.8	627.3	590.2
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია	36.2	110.6	314.0
02 02 03	სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია	98.7	382.7	262.7
02 02 04	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია.	0.0	136.4	13.5
02 03	გარე განათება	335.6	578.5	622.8
02 03 01	გარე განათების მშენებლობა რეაბილიტაცია	61.4	278.5	252.8
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	274.2	300.0	370.0
02 04	შენობების და ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	33.2	0.0	8.7
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	13.4	80.7	50.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	0.0	245.2	466.5
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	0.0	245.2	466.5
02 07	საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	94.9	324.7	945.6
02 08	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	0.0	940.0	1200.5



პროგრამის დასახელება:	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	9 103.2 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, მოსახლეობა გადაადგილდებოდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეექმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე. სოფლები ერთმანეთს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2020 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა: ქ. ქარელის და დაბა აგარის ქუჩების, აბისი-საციხურის, დვანში საბავშვო ბაღამდე და სკოლამდე მისასვლელი, ტახტისძირის სკოლამდე მისასვლელი, დირბის დარჩენილი ნაწილსა და საბავშვო ბაღამდე მისასვლელი, ზემო ხვედურეთის სკოლამდე მისასვლელი, ბრეთის მეურნეობის სკოლამდე მისასვლელი, ძლევიჯვრის სკოლამდე მისასვლელი, რუისის №2 და №3 სკოლამდე მისასვლელი, სოფ. ხეობაში მისასვლელი, მოხისის სკოლამდე მისასვლელი. ასევე ბრეძაში, კოდაში, ბრეთში და ელბაქიანთვარში ხიდების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა</p> <p>მთავრობის №2751 განკარგულებით (31.12.2019წ) ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 7441,2 ათ ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროგრამების დასაფინანსებლად.</p>
მოსალოდნელი შედეგი	თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული და მოასფალტებული საავტომობილო გზები, მოწესრიგებული მიმოსვლა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 02
პროგრამის დასახელება:	შიდა გზების მოვლა პატრონობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ააიპ "ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი", ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	100.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქარელის მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების ნაწილი დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას (მოხრეშვა-მოშინდაკება). პრობლემას წარმოადგენს ფეხით მოსიარულეთათვის ტვირთის გადატანა, მოსახლეობის გადაადგილება, ასევე ხელი ეშლება ტურიზმის განვითარებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების საფარის მოწესრიგება 20 000 მ2 ფართობზე და სხვა სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტული გადაადგილება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 01
პროგრამის დასახელება:	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია.
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	314.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქარელის მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ დარჩენილია სოფლები, რომლებსაც სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების პრობლემა აქვთ. პროგრამის ფარგლებში იგეგმება: ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დირბის



პროგრამის მიზანი და აღწერა	სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების მომსახურების ხარისხის და დაფარვის არეალის გაუმჯობესება, წყალმომარაგების მომსახურების ეფექტური მიწოდება, სოფელ ბებნისის და სოფელ ბრეთის მეურნეობის სასმელი წყლის სისტემის გამრიცხველიანება და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა, სასმელი წყლის გაუმჯობესებული ხარისხი, სასმელ წყალზე შეუფერხებელი წვდომა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 03
პროგრამის დასახელება:	სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	262.7 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	რწყვის პერიოდში ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მიერ სარწყავი წყლის არხებით შეუფერხებლად სარგებლობა. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში: რუისში, თამარაშენში, ფცაში, ბრემაში, ბრეთის მეურნეობაში, ტახტისძირში და დვანში სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული სარწყავ-სანიაღვრე არხები, შეუფერხებლად მოქმედი სარწყავი სისტემა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 04
პროგრამის დასახელება:	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	13.5 ათ.ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	სტიქიის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, მდ. ძამასა და მტკვარზე გაბიონების მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის პრევენცია. მოწყობილი გაბიონები მდ. ძამასა და მტკვარზე

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 01
პროგრამის დასახელება:	გარე განათების მშენებლობა, რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	252.8 ათ.ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქარელის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გამართული გარე განათების სისტემის არსებობა. მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. გარე განათების სისტემა მოეწყობა შემდეგ



	სოფლებში: რუისში, ურბნისში, ბრეთში, ზღუდერში, აფნისში, იმერხევი, დირბში, მოხისში, კნოლევი, ავლევი, ცერონისში და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	განათებული ქუჩები, უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 02
პროგრამის დასახელება:	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	370.0 ათ.ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის, ლამპიონების მოვლა-პატრონობა და გახარჯული ელექტრო ენერჯის საფასურის გადახდა. ღონისძიების ფარგლებში მოხდება გარე განათების ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა, დამწვარი ნათურების შეცვლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. გარე განათების ქსელის მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტის შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: ქარელი, აგარა, ბეზნისი, რუისი, ურბნისი, ქვენატკოცა, ფცა, ქვემოხვედურეთი, ზემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, მოხისი, ბრეთი, ბრეთის მეურნეობა, დირბი, აბისი, აბისისთავი, ბერძენაული, ავლევი, ცერონისი, კნოლევი, სასირეთი, ლოლეთი, კოდავარდისუბანი, ზემო შაქშაქეთი, ქვემო შაქშაქეთი, ბრემა, ატოცი, ჭვრინისი, ახალსოფელი, საციხური, აბანო, კოდა, სალოლაშენი, არადეთი, წვერი, თათანათ უბანი, სანებელი, ვედრება, სამწევრისი, დვანი, ტახტიძირი, ძლევიჯვარი, ხეობა, ჭანდრები, ღვლევი, იმერხევი, გვერდინეთი, თამარაშენი, ყინწვისი, ქვენაფლავი, ლეთეთი, ქობესაანთ უბანი, კრობანი, კლდუ, ზღუდერი და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების გამართული მუშაობა და ელექტრო ენერჯის საფასურის დაფარვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 04
პროგრამის დასახელება:	შენობების და ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	8.7 ათ.ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კაპიტალური შენობების და სხვადასხვა ნაგებობების რეაბილიტაცია, მოვლაპატრონობა. ასევე ახალი ობიექტების მშენებლობა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოწესრიგებული შენობები და ობიექტები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05
პროგრამის დასახელება:	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური



დაფინანსება	50.0 ათ.ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო, რეაბილიტირებული შენობები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 06 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	466.5 ათ.ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სავაჭრო, დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, მოწყობა: სოფელ არადეთში სუფთა, უსაფრთხო და მოწესრიგებული სავაჭრო სივრცე, ქარელში და სოფლებში: დირბში, ბრეთის მეურნეობაში, ახალსოფელში და ბერძენაულში - სკვერები და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და სავაჭრო სივრცე.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 07
პროგრამის დასახელება:	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	945.6 ათ.ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ზედამხედველობა გაეწიოს პროექტების განხორციელებას, შეძენილი იქნას მომავალში განსახორციელებელი პროექტები. 300 000 ლარი გამოყოფილი იქნას 2020-2022წწ-ში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესასყიდად.
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, შეძენილი პროექტები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 08
პროგრამის დასახელება:	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1200.5 ათ.ლარი



პროგრამის მიზანი და აღწერა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერს #2752 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 940 000 ლარი ქარელის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელში არსებული სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული პროექტები მოიცავს სასამელი წყლის შიდა გზების, გარე განათების, სარწყავი არხების, მოსაცდელის და სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციას. პროექტების სრულყოფილად დაფინანსების მიზნით 260 485.15 ლარით მოხდება თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული პირობებით კმაყოფილი სოფლად მცხოვრები მოსახლეობა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა და დასუფთავება, მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემების და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება.

	დასახელება	2018	2019	2020
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,013.0	1 170.4	1250.0
03 01	კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში	150.0	193.0	230.0
03 02	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	808.0	871.4	914.0
03 03	მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება	55.0	106.0	106.0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01
პროგრამის დასახელება:	კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	230.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის დასუფთავების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. შემენილი იქნება ნაგვის ურნები, რომელიც განთავსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
მოსალოდნელი შედეგი	ნარჩენების შეგროვების ხელშეწყობა, დასუფთავებული გარემო

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 02
პროგრამის დასახელება:	დასუფთავება და ნარჩენების გატანა



პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	914.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p>ქარელში და აგარაში განხორციელდება ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, სანიაღვრეების გაწმენდა, ნარჩენების გატანა: ქ. ქარელის, დ. აგარის და სოფლების: ქვენატკოცის, ბებნისის, ლეთეთის, ქვემო ხვედურეთის, ზემო ხვედურეთის, კეხიჯვრის, ქობესანთ უბნის, თათანანთუბნის, სამწვერისის, ვედრების, სანებლის, რუისის, ურბნისის, ბრეთის, სალოლაშენის, არადეთის, წვერის, სასირეთის, ბრეთის მეურნეობის, ძლევიჯვრის, ყინწვისის, ზღუდრის, მოხისის, ახალსოფლის, დირბის, დვანის, ტახტიძირის, ფცის, თამარაშენის, ქვემო შაქშაქეთის, აბისის, აბისისთავის, ბერმენაულის, ავლევის, ცერონისის, კნოლევის, ბრემის, ატოცის, გულიკანთ უბნის, დვლევის, ქვენაფლავის, ჭანდრების, ხეობის, სუქანათ უბნის, ორთუბნის, ელბაქიანთ კარის, კოდა ვარდისუბნის, ზემო შაქშაქეთის, საციხურის, კოდის, ლოღეთის, ჭვრინისის, აბანოს, სოფელ ახალსოფლის და სოფელ მოხისის დევნილთა ჩასახლების მოსახლეობიდან და ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან და სხვა ღონისძიებები</p>
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 03
პროგრამის დასახელება:	მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემისა და შადრევანების მოვლა-პატრონობა, განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	106.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მოსახლეობისათვის კულტურული და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის დაცვა, სასმელი წყლის სისტემის და შადრევნების მომსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული და მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი ხეების გადაბეღვა, მოჭრა. განხორციელდება ხეების, ყვავილების და სხვადასხვა მცენარეების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. შადრევნების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკების და სხვა საჯარო ადგილების მოვლა-პატრონობა. ასევე სოფლებში წყლის სისტემის ტექნიკური (ტუმბოების შეკეთება- განახლება) უზრუნველყოფა და სხვა ღონისძიებები</p>
მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებული, ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცული გარემო; სასმელი წყლის სისტემისა და შადრევნების გამართული ფუნქციონირება.

განათლება

(პროგრამული კოდი 04 00)

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის



ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

04 00	განათლება	1,713.0	3 411.1	3544.9
04 01	სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	168.8	684.0	500.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,524.4	1 767.2	1805,6
04 03	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა	19.8	23.4	23.4
04 04	სკოლების მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება	0.0	936.5	1 056.9
04 05	ზოგადი პროფესიული განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	62.6

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	500.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში მოქმედ 21 საბავშვო ბაღში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p>რადგანაც ბაღების გარკვეული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, პროგრამის ფარგლებში იგეგმება შემდეგი საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა:</p> <p>ქარელის №1, ქარელის №2, რუისის №1, რუისის №2, რუისის №3,</p> <p>ურბნისის, ბებნისის, კეხიჯვრის, ზ/ხვედურეთის, ქვ/ხვედურეთის, ბრეთის, წვერის, დირბის, დვანის, აგარის, ქვენატკოცის, ფცის, აბისის, აბანოს, მოხისის, ბრეთის მეურნეობის.</p> <p>ასევე ბაღებში სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტის შესაბამისი საბავშვო ბაღები რომლითაც ისარგებლებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02
-------------------------------	-------



პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება“
დაფინანსება	1805.6 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადება. მუნიციპალიტეტში სულ 1300 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალიტეტის გაერთიანება“. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 325 თანამშრომელი, მათ შორის 63 აღმზრდელი და 63 თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	შესაფერისი უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სტანდარტების შესაბამისი გარემო.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 03
პროგრამის დასახელება:	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება“
დაფინანსება	23.4 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	სკოლის ასაკის ბავშვებისათვის არაფორმალური განათლების მიცემა, ტრადიციების შენარჩუნება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია 6 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება 120 მოსწავლეს. ფუნქციონირებს: ქსოვა-ქარგვის, მხატვრული კითხვის, ნორჩ-ხელმარჯვეთა, გიტარაზე დაკვრის შემსწავლელი, გობელენის, ქორეოგრაფიული წრეები და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის ასაკის ბავშვების დაინტერესება ხალხური რეწვის დარგებით და არაფორმალური განათლების მიცემა, ტრადიციების შენარჩუნება-განვითარება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 04
პროგრამის დასახელება:	სკოლების მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1056.9 ათ. ლარი
	საქართველოს მთავრობის №207 განკარგულებით (08.02.2019წ) („ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების



პროგრამის მიზანი და აღწერა	ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“) გამოყოფილი 760 000 ლარიდან დარჩენილი თანხით 78 120.05 ლარით მოხდება აბანოს სკოლის რეაბილიტაცია და 2020 წლისთვის 22 სკოლის რემონტის პროექტირება. ასევე 40096,15 ლარით დაფინანსდება საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირება. საქართველოს მთავრობის №27 განკარგულებით (09.01.2020წ) „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 938 664.85 ლარი სკოლების მშენებლობა - რეაბილიტაციის 760 000 ლარი და მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის 178 664.85 ლარი.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 05
პროგრამის დასახელება:	ზოგადი პროფესიული განათლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	62.6 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მოსახლეობის დაინტერესების ზრდიდან გამომდინარე, დ. აგარაში არსებულ პროფესიული განათლების სასწავლებელში საჭირო გახდა კლასების დამატება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ოთახების გარემონტება, რაც შესაძლებლობას მისცემს მიიღონ მეტი სხვადასხვა პროფესიის დაუფლების მსურველები.
მოსალოდნელი შედეგი	სხვადასხვა პროფესიის მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
(პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი			
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	624.8	717.1	2277.5
05 01 01	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში	222.5	192.7	1750.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	402.3	524.4	527.5



05 02	კულტურის სფეროს განვითარება	569.2	752.2	848.6
05 02 01	მშენებლობა რეაბილიტაცია კულტურის სფეროში	0.0	45.7	50.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	31.7	30.30	27.8
05 02 03	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა	187.0	242.8	295.0
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	39.7	41.9	43.1
05 02 05	კულტურის ცენტრისა და სოფლის კლუბების ხელშეწყობა	118.1	141.6	150.0
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	50.0	30.7	31.7
05 02 07	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	32.8	38.4	42.3
05 02 08	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია	43.7	50.6	66.6
05 02 09	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	13.2	17.1	17.1
05 02 10	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	53.0	113.0	113.0
05 02 11	ტურიზმის განვითარება	0.0	0.0	12.00
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	50.0	70.9	45.8

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
პროგრამის დასახელება:	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1 750.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	სპორტული მოედნების მოწყობა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ბრეძაში, ფცაში, თამარაშენში, მოხისსა და ბეზნისში, რუისის ოთხი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ქ. ქარელში საცურაო აუზის მშენებლობა. მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული მოედნებით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესის



დამკვიდრება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 02
პროგრამის დასახელება:	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	527.5 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქარელის მუნიციპალიტეტში სპორტული მიმართულებით სწავლების გაძლიერება, სხვადასხვა ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარება, წარმატებული სპორტსმენების წარმოჩენა და სპორტის სახეობების პოპულარიზაცია. ჩატარდება სწავლებები სპორტის სხვადასხვა სახეობების: ფეხბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის(ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა), კიკბოქსინგის, ჯიუ-ჯიცუს, ხელბურთის, ფრენბურთის მიმართულებით. დააფინანსდება ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში სხვადასხვა ღონისძიებები და ტურნირები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბით და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული სპორტსმენების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 01
პროგრამის დასახელება:	მშენებლობა რეაბილიტაცია კულტურის სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	50.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქარელის, აგარის და რუისის ხელოვნების სკოლების რეაბილიტაცია. ქარელის, რუისის და აგარაში ხელოვნების სკოლებში გახორციელდება სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 02
პროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	27.8 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქარელის მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების განვითარება, სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება. განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და



	ჩართულობის გაზრდა.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება და კულტურის პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 03
პროგრამის დასახელება:	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	295.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სახელოვნებო განათლების მიმართულებით თავის საქმიანობას ახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტში ხელოვნების სამი სკოლა: ქარელის ხელოვნების სკოლა (ბრეთის განყოფილებით), ნაწული ღამბაშიძის სახელობის აგარის ხელოვნების სკოლა და რუისის ხელოვნების სკოლა. ხელოვნების სკოლებში დასაქმებულია 70 თანამშრომელი, ქარელის ხელოვნების სკოლაში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 168 მოსწავლეს, ნაწული ღამბაშიძის სახ. აგარის ხელოვნების სკოლაში - 121 მოსწავლეს და რუისის ხელოვნების სკოლაში - 157 მოსწავლეს. სკოლები ხელს უწყობენ წარმატებულ მოსწავლეებს და უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები სახელოვნებო მიმართულებით ხელოვნების სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით. ხელოვნების სკოლებში ბავშვები სწავლობენ კლასიკურ და ხალხურ მუსიკას, ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას, სოლფეჯიოს, მუს-ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნების ისტორიას, მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, აგრეთვე ადგილობრივ ღონისძიებებში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის მიმზიდველი სახელოვნებო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, პოპულარიზაცია, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04
პროგრამის დასახელება:	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	43.1 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, წიგნადი ფონდის განახლება და წიგნის პოპულარიზაცია.</p> <p>ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის ხელოვნების და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ერთერთი განყოფილებაა - ქარელის ცენტრალური ბიბლიოთეკა; წიგნადი ფონდი შეადგენს 25702 ეგზემპლარს. დასაქმებულია 10 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, ერთად კითხვის სადამოები, ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. ახლდება წიგნადი ფონდი ყოველწლიურად და სხვა ღონისძიებები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05
პროგრამის დასახელება:	კულტურის ცენტრისა და სოფლის კლუბების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	150.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში.</p> <p>კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა წრეების და შემოქმედებითი ჯგუფების საშუალებით; ქარელის მუნიციპალიტეტში ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს: მამაკაცთა ანსამბლი „ქარელი“ (15 მამაკაცი), ხალხური საკრავების წრე (დოლი) (20 ბავშვი, 1 წრის ხელმძღვანელი), ხალხური საკრავების წრე (ფანდური, სალამური - 15 ბავშვი, 1 წრის ხელმძღვანელი), ბავშვთა დრამატული წრე (9 ბავშვი, 1 წრის ხელმძღვანელი), თოჯინების თეატრი (8 ბავშვი, 1 წრის ხელმძღვანელი), სამეჯლისო ცეკვები (72 ბავშვი, 1 წრის ხელმძღვანელი), ქორეოგრაფიული ანსამბლი (210 ბავშვი, 1 წრის ხელმძღვანელი), მხატვრული კითხვის წრე (10 ბავშვი, 1 წრის ხელმძღვანელი);</p> <p>წრეები და გუნდები აქტიურად იღებენ მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ, რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 06
პროგრამის დასახელება:	მუზეუმების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	31.7 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მოსახლეობის დაინტერესება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებით, ტურიზმის განვითარება.</p> <p>ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც დაცულია 3000 ექსპონატი, დასაქმებულია 8 თანამშრომელი. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 1000 დამთვალიერებელს. მუზეუმი იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას არაფორმალური განათლების გაცემის გზით, აწყობს გამოფენებს, ატარებს ვიქტორინებს და სხვა ღონისძიებებს.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და დაინტერესების ზრდა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 07
პროგრამის დასახელება:	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“



დაფინანსება	42.3 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქართულ-ხალხური მრავალხმიანი სიმღერების პოპულარიზაცია. ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მამაკაცთა ფოლკლორული გუნდი - „ქარელი“, 15 მამაკაცის შემადგენლობით, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში, რითაც პოპულარიზაციას უკეთებენ ქართულ-ხალხურ მრავალხმიან სიმღერას ქარელის მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.
მოსალოდნელი შედეგი	ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 08
პროგრამის დასახელება:	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების ადმინისტრაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	66 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირება ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ ადმინისტრაცია შედგება 7 თანამშრომლისგან, რომლებს მართავენ და ორგანიზებას უწყვენ გაერთიანებაში შემავალი განყოფილებების საქმიანობას. გაერთიანებას გამართულად ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, ოფისის და სხვა მიმდინარე ხარჯები, რომელთა დაფარვა მოხდება ასიგნებების ფარგლებში.
მოსალოდნელი შედეგი	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“-ის გამართული ფუნქციონირება და განყოფილებების საქმიანობის ორგანიზება, მართვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 09
პროგრამის დასახელება:	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	17.1 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მოსახლეობის დაინტერესება, ცნობადობის ამაღლება და ჩართულობის გაზრდა. საგამომცემლო განყოფილებაში დასაქმებულია 3 თანამშრომელი და წლის განმავლობაში გამოიცემა მუნიციპალური გაზეთის „ქარელის მოამბის“ 18 000 ეგზემპლარი. აღნიშნულ გაზეთში შექმნილია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური და სხვა სიახლეები, ასევე მოსახლეობის პრობლემები და მიღებული სამართლებრივი აქტები.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 10
პროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	113.0 ათ. ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარება. რელიგიური დაწესებულებების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარებით ხელი ეწყო რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში.
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრими ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 11
პროგრამის დასახელება:	ტურიზმის განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	12.0 ათ. ლარი
